

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის ინსტიტუტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute of the Georgian Language

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

**სამეცნიერო სესია, მიძღვნილი
აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი**

**Scientific Session Dedicated to the Memory
of Academician Varlam Topuria**



მასალები / Proceedings

08.01.2022.
თბილისი Tbilisi

სესიის საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი – პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

დარეჯან თვალთვაძე – პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელი;

ნანა მაჭავარიანი – თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

რამაზ ქურდაძე – პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტისა და ამავე ინსტიტუტის ახალი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელი.

The Organizing Committee of the Session:

Nana Gaprindasvili – Professor, The dean of the Faculty of Humanities at the TSU;

Darejan Tvaltvaдзе – Professor, Head of the Chair of the Old Georgian Language and Textological Researches at the Faculty of Humanities at the TSU;

Nana Machavariani – Director of the TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Associate Professor of the Faculty of Humanities at the TSU;

Ramaz Kurdadze – Professor, Head of the Institute of the Georgian Language and the Chair of the New Georgian Language at the Faculty of Humanities at the TSU.

*მასაღებში დაცულია ავტორების სტილი
Authors' style is retained in the Proceedings*

ბოდიშის გამომხატველი გამოთქმები ქართულ ენაში

Expression of Apology in Georgian

რუსუდან ზექალაშვილი
Rusudan Zekalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სამეცყვედო აქტები, სამეცყვედო ეტიკეტი, თავაზიანობა, ფატიკუხი კომუნიკაცია, ბოდიში, ქაჩთუდი ენა

Key words: *Speech acts, speech etiquette, politeness, phatic communication, apology, Georgian language*

ლინგვისტიკის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლინგვოპრაგმატიკის ერთ-ერთი დარგის, **სამეტყველო აქტების თეორიის**, ჩამოყალიბებას მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, რაც დაკავშირებულია ჯ. ოსტინისა და ჯ. სერლის სახელებთან. ამ ლოგიკურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის სამეცნიერო შედეგები ფასეული აღმოჩნდა ლინგვისტიკისთვის. სერლის (Searle, 1969) მიერ გამოყოფილი სამეტყველო აქტთა ძირითადი ჯგუფებიდან საინტერესოა **ექსპრესივები** (იგივე **ბიჰებიტივები**: Austin, 1975), რომლებშიც შედის: მადლობა, ბოდიში, მისალმება, თანაგრძნობა და მილოცვა.

ნებისმიერი ენის სამეტყველო ეტიკეტში, გარდა თავაზიანობის ენობრივი გამოხატვის საშუალებებისა, დიდი ადგილი უკავია ვერბალური კომუნიკაციის განსაკუთრებულ ფორმას, ე. წ. **ფატიკურ კომუნიკაციას**, რომლის ძირითადი ფუნქციაა კონტაქტის დამყარება და შენარჩუნება კომუნიკანტებს შორის. აღნიშნული ტერმინი პირველად გამოიყენა ანთროპოლოგმა **ბ. მალინოვსკიმ** (Malinowski, 1923), ხოლო **რ. იაკობსონმა** (Jakobson, 1975) ენის ერთ-ერთ ფუნქციად ფატიკურიც გამოყო.

ფატიკური კომუნიკაციის ერთეულია **ბოდიშიც**, რომელიც ხელს უწყობს კონტაქტის შენარჩუნებას და აწესრიგებს პიროვნებათა შორის ურთიერთობას. მას უწოდებენ კონვენციურ ან რიტუალურ სამეტყველო აქტსაც. ისევე, როგორც ფატიკური კომუნიკაციის ყველა ერთეული, ბოდიშის ენობრივი ფორმებიც გამოირჩევა ეთნოკულტურული სპეციფიკით და უკავშირდება ეროვნულ ღირებულებებს. საინტერესოა მათი ჩამოყალიბების ისტორია ენის განვითარების განმავლობაში.

თანამედროვე უცხოურ ლინგვისტიკაში ინტენსიურად იკვლევენ ფატიკური კომუნიკაციის ერთეულებს სწორედ სამეტყველო გარემოცვის გათვალისწინებით, ხშირად – შეპირისპირებით ასპექტში (იხ. Lange, 1984; Demeter, 2011 და სხვ.). ქართულ ენათმეცნიერებაში ფატიკური კომუნიკაცია კარგადაა შესწავლილი ინგლისურ, იტალიურ, ესპანურ, სპარსულ ენებთან შეპირისპირებით (დემეტრაძე, 1997; ცერცვაძე, 2007; მჭედლიშვილი, 2010; გოგალაძე, 2019 და სხვ.). ცხადია, ამ შრომებში ყურადღება

მიექცა მობოდიშებასა და მისი გამოხატვის საშუალებებს ქართულში (იხ. ასევე: ზექალაშვილი, 2012).

ჩვენ განვიხილეთ აღნიშნული ფატიკური სამეტყველო აქტი დიაქრონიულ და სინქრონიულ ასპექტში ქართული ენის კორპუსულ მონაცემებზე დაყრდნობით (ქეკ და სხვ.). ისტორიულად არც ერთ ძველ ქართულ ტექსტში სიტყვა „ბოდიში“ არ დადასტურდა, მაგრამ ამ შინაარსისაა სიტყვები: *მიტევება (მომიგვეთ)* და *შენდობა (შემინდეთ)*. სულხან-საბა ორბელიანი ბოდიშს ასე განმარტავს: „ესე ახს სიტყვით და საქციელით კაცი მოიმადღოს“, რაც შეეხება სიტყვას „უკაცხავად“, წერს: „კაცთ უკაცხისი ახს“ (იხ. ორბელიანი, 1991).

„ვეფხისტყაოსანი“ არ იცნობს სიტყვა **ბოდიშს**, პოემაში დადასტურებულია მხოლოდ **შენდობა** (სხვადასხვა პირისა და მწკრივის ფორმით), ის არც „ამირანდარეჯანიანში“ არ გვხვდება. საშუალ ქართულში ბოდიში გვიან შემოვიდა რიტუალური ფორმულების სახით: *ბოდიშს მოვითხოვ*, *ბოდიშს გთხოვ*, *ბოდიში მოიხადა*, *ბოდიში მოითხოვა*, *ბოდიში მოაქვს*, *დიდი ბოდიში...* ეტიმოლოგიურად **ბოდიშს** უკავშირებენ ფალაურ სიტყვას **“bōžishn”** (ბოდიში, პატიება) და ახალი სპარსულის **“bōžish”**-ს, რომელიც ქართულში ფონეტიკურად სახეცვლილი შემოვიდა: ***ბოჟიმ > ბოდიშ** (გიგინეიშვილი, 2016, გვ. 56). ეს სიტყვა დადასტურდა ლიტერატურულ ტექსტებში: „რუსუდანიანი“, „ბარამიანი“, „ყარამანიანი“, „დავითიანი“, „თეიმურაზიანი“, იმ პერიოდის თარგმანებში („ქილილა და დამანა“) და სხვ. (იხ. ქეკ). გვხვდება ასევე **უკაცხავად**, შენარჩუნებულია ძველი *შემინდე* და *მომიგვეთ*-ც.

ახალ ქართულში გავრცელებულია როგორც **ბოდიშთან** დაკავშირებული გამოთქმები, ისე **მაპატიე/მაპატიეთ** ზმნა და ზმნიზედა **„უკაცხავად“** (ამბობენ შედარებით უმნიშვნელო შეცდომის ან მიუღებელი ქცევის გამო). *მომიგვეთ* მხოლოდ ამაღლებული სტილის კუთვნილებაა და გამოიყენება თავაზიანობის ხაზგასმის მიზნით. **ბოდიში** სიტყვისგან ნაწარმოებია სხვა ლექსიკური ერთეულებიც: *ბოდიშობს*, *ებოდიშება*, *მოიბოდიშებს*, *საბოდიშო*, *უბოდიშო*, *ბოდიშიანი* (თავაზიანისა და ზრდილობიანის მნიშვნელობით). სასაუბრო ენაში ზოგჯერ გამოიყენება ფრანგული *პაჩღონ*-ისგან ნა-

წარმოები **უპაჩღონო** (ასევე – ბებუპაჩღონი) არათავაზიანის მნიშვნელობით.

ცალკე შესწავლის საგანია **მიზები**, თუ რატომ იხდის ქართული ბოდიშს. ოფიციალურ საკომუნიკაციო რეგისტრში ბოდიშის გამოყენების არეალი დიდია: პოლიტიკის, დიპლომატიის სფერო, სასამართლო, ეკლესია, მასმედია; არაოფიციალური საკომუნიკაციო რეგისტრის ერთეულები გამოიყენება უცნობებს შორის (ტრანსპორტში, დაწესებულებაში უნებლიე არასწორი/დამაზიანებელი მოქმედების გამო), ნაცნობებსა და ახლობლებს შორის ურთიერთობაში დაშვებული შეცდომის ან ჩადენილი დანაშაულის აღიარებისა და მისი გამოსწორების მცდელობის მიზნით. აქ თავს იჩენს სპეციფიკური სიტუაციებიც: ხანდახან ბოდიშს იხდიან უხამსი გამოთქმების ან არასასიამოვნო, ვულგარული სიტყვის განზრახ ან უნებურად წამოცდენის შემთხვევაში (იწყებენ ასე: უკაცხავად პასუხია, ბოდიში მომითხოვია...).

ბოდიშის მოხდის **არაპირდაპირ** საშუალებებს მიმართავენ ჩადენილის გამო წუხილის გამოხატვისას (*ვწუხვარ, გუდწიფედავ ვწუხვარ, ძაღიან სამწუხაროა, ძაღიან განვიცდი*) და ამით ხაზს უსვამენ, რომ განზრახ კი არ მოქცეულან ასე, შემთხვევით, უნებურად დაემართათ და ცდილობენ ამ ფრაზებით გამოასწორონ სიტუაცია.

ეროვნული სპეციფიკა განსაკუთრებით ვლინდება ფატიკური კომუნიკაციის ერთეულთა ეტიმოლოგიისა და გამოყენების სიტუაციათა შედარებისას სხვა ენების მონაცემებთან. ამიტომაც ცდილობენ, რომ ეს საკითხი უმეტესად ტიპოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლონ.

ღიგეხატუა:

გიგინეიშვილი, ბ. (2016). ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ) (რედ. ა. არაბული, მ. ქავთარია). თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.

გოგალაძე, ე. (2019). ფატიკური კომუნიკაცია და სამეტყველო ეტიკეტი სპარსულსა და ქართულში [დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის (PHD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად], თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Ekaterine_Gogaladze.pdf

Demeter, Gusztav (2011). Explicit apologies in English and Romanian. A construction grammar approach [Doctoral dissertation], Oklahoma State University, Oklahoma. https://shareok.org/bitstream/handle/11244/7060/Demeter_okstate_0664D_11334.pdf?sequence=1&isAllowed=y

დემეტრაძე, ი. (1997). ფატიკური კომუნიკაცია და ბრიტანულ-ქართული ყოფითი განსხვავებანი (თანამედროვე ქართული და ინგლისური ენების მასალაზე) [დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად], თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

ზექალაშვილი, რ. (2012). ქართული დიალოგური მეტყველება: ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები. თბილისი: „უნივერსალი“, 2012. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/144348/1/Qartuli_Dialoguri_Metyveleba.pdf

Якобсон, Р. (1975). Лингвистика и поэтика, в кн.: Структурализм: "за" и "против". Сборник статей (Редакторы Е.Я. Басин, М. Я. Поляков; перевод И. А. Мельчука), 193-230. Москва: «Прогресс». https://imwerden.de/pdf/strukturalizm_za_i_protiv_1975__ocr.pdf

Lange, W. (1984). Aspekte der Höflichkeit. Überlegungen am Beispiel der Entschuldigungen im Deutschen: Europäische Hochschulschriften, Reihe 1, Deutsche Sprache und Literatur, B. 791. Frankfurt a.M. Bern. New York: Nancy.

Malinowski, B. (1923). The Problem of Meaning in Primitive Languages. In: C. K. Ogden & I. A. Richards (Eds.), *The Meaning of Meaning*, 296-336. London: K. Paul, Trench, Trübner.

მჭედლიშვილი, მ. (2010). ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპები (ფრანგული, ესპანური და ქართული ენების მასალებზე): სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent“, 1(5), 77-82. საქართველო: ღია დიპლომატიის ასოციაცია, თბილისი. http://www.odage-orgia.ge/downloads/skripta_5_2010.pdf

ორბელიანი, ს.-ს. (1991). ლექსიკონი ქართული (გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ; რედ. ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე), საქსრ მეცნიერებათა აკადემია, ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი: „მერანი“. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=8>

- Austin J.L. (1975). How to do things with words. Second edition, editing by Urmson J.O. and Sbisà M. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.
- Searle J. R. (1969). Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language. London: Cambridge University Press. <https://doi.org/10.1017/CBO-9781139173438>
- ქეგელ (1950-1964). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. მთ. რედ. ა. ჩიქობავა, ტ. I-VIII. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“. <http://www.ice.ge/liv/-liv/ganmartebiti.php>
- ქეეკ - ქართული ენის ეროვნული კორპუსი. <http://gnc.gov.ge/gnc/page>
- ცერცვაძე, ნ. (2007). ფატიკური კომუნიკაცია და მისი ტიპოლოგია იტალიურ ენაში (თანამედროვე იტალიური ენის მასალაზე). თბილისი: გამომცემლობა „თბილისი“. <https://faculty.iliauni.edu.ge/arts/nino-tsertsvadze/?lang=en>

Beginning from the second half of the 20th century, one of the branches of lingvo-pragmatics, **the speech act theory** began to attract special attention which was associated with the names of J. L. Austin and J. R. Searle. The scientific results of the mentioned logical-philosophical stream turned out to be valuable for linguistics. The speech acts basic groups (identified by Searle, 1969) contain **expressives** (or otherwise **behabitives**, Austin, 1975). These groups contain also: thanking, apologising, welcoming, greetings, condolence, and congratulations.

In the speech etiquette of any language, besides the linguistic means of expressing courtesy, the so called **phatic communication** takes important place as a special form of verbal communication. Its main function is to establish and keep contact between the communicants. This term was first used by an anthropologist B. Malinovsky (1923). The phatic function of language is separated out by R. Jakobson (1975).

Apologizing (begging pardon) is one of the units of phatic communication which supports remaining the course of communication going on and regulates the attitudes between the individuals. It is called a conventional or ritual speech act. Like all other units of phatic communication, the linguistic forms of begging pardon are distinguished by their ethno-cultural specifics; as for their forming and remaining in a language through its history, these processes awaken deep interest especially towards specifics of their development alongside with development of a language.

The phatic communicative units are intensively explored in the modern foreign linguistics especially considering the colloquial situations and frequently through considerations of comparative analysis based on their contradictional aspect in comparison with other languages (Lange, 1984; Demeter, 2011, etc.). Phatic communication is thoroughly studied in Georgian linguistics, as compared with English, Italian, Spanish, Persian and other languages (Demetradze, 1997; Tsertsvadze, 2007; Mchedlishvili, 2010; Gogoladze, 2019, etc.). Certainly, the means of expressing apologies/excuses are also discussed in the research works (see: Zekalashvili, 2012).

We have discussed the phatic speech act in diachronic and synchronic ways basing on the several data from the Georgian language

corpus. Historically, there is no such word as *bodiši* ‘pardon’, ‘excuse’ acknowledged historically in the Old Georgian texts. The words ‘*mi-ṭveba*’ (*momṭvet*) ‘pardon me’, ‘I beg your pardon’ and also the word “*šendoba*” ‘shrift’, ‘pardon’ are used in the old Georgian texts. Sulxhan-Saba Orbeliani explains the word “*bodiši*” ‘pardon’ in the following way: “*this means to ask pardon to a person by your polite word and behavior.*” As for the Georgian word “*uḱacavad*” it is defined as something, which is inappropriate for good people, noble people (Orbeliani, 1991).

There is no such word as ***bodiši*** “pardon, apologise, excuse” in the poem “Vephistkaosani” (“The Knight in the Panther’s Skin”) and in “Amiran-Darejaniani” (“The story of Amiran, son of Darejan”). The word *momṭve* ‘forgive’, ‘excuse’ is acknowledged only. In the middle period of the language development, ritual **formulas of excuse** were introduced to Georgian language: *bodišs movitxov*, *bodišs mogaxseneb* ‘I ask for your excuse’, ‘I beg your pardon’, *bodišs moitxovs*, *bodišs moixdis* ‘he (she) begged pardon’, ‘he brings his excuse’... These phrases can be found in the Medieval Georgian literary texts: “Rusudaniani”, “Baramiani”, “Q’aramaniani”, “Davitiani” (David Guramishvili’s autobiographical poem), “Teimuraziani” (King Archil’s work), also in the translated literature works of those times (“Kilila and Damana”) and others (see: GNC). In the Middle Georgian Texts we have also the words of excuse such as “*uḱacavad*”, in parallel with the old words such as “*šeminde/momṭve*”.

The word of excuse “*bodiši*” is etymologically associated with the word “*bōžishn*” (which is phallic - Old Persian - word), meaning ‘apologize’, ‘forgive’ and to the word “*bōžish**” from the New Persian language; it was adopted to the Georgian language in the form “*bodiš*” (Gigineishvili, 2016, p. 56).

In Modern Georgian along with the words of pardon the verb form ***mapaṭie/ mapaṭiet*** ‘forgive me’ is also usually used; also, the adverb ***uḱacavad*** (which is used when the matter of excuse is not very important) is used; the word “***momṭvet***” is sometimes used but it is especially a high-style word only for some special situations to underline courtesy; the special lexical units, the derivatives from the

words “*bodiši*” have been also derived through the times, such as: *bodišobs*, *ebodišeba*, *moibodišobs* (=beg pardon); *sabodišo* ‘something for which one should say pardon’ and the like, *bodišiani* ‘polite’. In colloquial speech we meet the form derived from the French “pardon” - “*upardono*” ‘not polite’; sometimes we meet the colloquial word “*bezpardonni*” which entered from the Russian form, meaning – ‘without any pardon, rude’.

The reasons which cause excuses in Georgian language, need to study separately. The areal of excuses are large in the official communication register: in political and diplomatic spheres, in church, court, mass media. The units of the informal communication are used by strangers (in the transport, at workplace, we use the words of excuse for being late, or for some not very important cases). There are also the words of excuse in the circles of family members, friends, acquaintances, when acknowledging our faults, sometimes for impolite behaviour or rude words speaking them involuntary or in purpose (we say: “*uḱacavad pasuxia, bodiši momitxovia*”) to express apologizing.

The words of begging pardon are used also when something is done involuntary – *bodiši*, *vḱuxvar*, *zalian vḱuxvar*, *gulḱrpelad vḱuxvar*, *zalian samḱuxaroa*, *zalian ganvicdi* – ‘I am sincerely sorry’, ‘I worry’, ‘I am really very sorry’; and other expressions which underline that those who beg pardon, really worry about the fact which happened unpurposefully and are ready to improve the situation. National language specifics is especially distinct when comparing the etymology and the situations of usage of the phatic communication units to the same examples existing in the other language situations.

References:

- Austin, J.L. (1975). How to do things with words. Second edition, editing by Urmson J.O. and Sbisa M. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.
- Demeter, G. (2011). Explicit apologies in English and Romanian. A construction grammar approach. [Doctoral dissertation], Oklahoma State University, Oklahoma. <https://shareok.org/bitstream/handle/11->

244/7060/Demeter_okstate_0664D_11334.pdf?sequence=1&isAllowed=y

- Demetradze, I. (1997). Patikuri komunikatsia da britanul-kartuli qopiti ganskhvavebani (tanamedrove kartuli da inglisuri enebis masalaze). [Phatic communication and British-Georgian everydaylife differences (Basing on the Modern Georgian and English language material)], [PhD dissertation, Tbilisi State University], Tbilisi.
- EDGL (1950-1964). Kartuli enis ganmartebiti leksikoni. [The Explanatory Dictionary of the Georgian Language], Chikobava, A. (ed. in chief), Eight Volumes. Tbilisi: Sakartvelos SSR metsnierebata akademiis gamomtsemloba [Press of the Georgian SSR Sciences Academy]. <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>
- Gigineishvili, B. (2016). Kartuli enis istoriul-etimologiuri leksikoni. [Historic-etymological dictionary of Georgian language], I (A-M) (Eds: A. Arabuli, M. Kavtaria). Tbilisi: TSU Publishing House.
- Gogaladze, E. (2019). Patikuri komunikatsia da sametqvelo etiketi sparsulsa da kartulshi. [Phatic communication and speech etiquette in Persian and Georgian]. [PhD dissertation, Tbilisi State University]. Tbilisi. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Ekaterine_Gogaladze.pdf
- Jakobson, R. (1975). "Lingvistika i poetika" [Linguistics and Poetics]. Strukturalizm "za" i "protiv" [Structuralism: For and Against]. Eds. E. J. Basin, M. J. Poliakov, translated by I. A. Melchuk, 193-230. Moscow: Publishing House "Progress". https://imwerden.de/pdf/strukturalizm_za_i_protiv_1975__ocr.pdf
- Lange, W. (1984), Aspekte der Höflichkeit. Überlegungen am Beispiel der Entschuldigungen im Deutschen: Europäische Hochschulschriften, Reihe 1, Deutsche Sprache und Literatur, B. 791. Frankfurt a.M. Bern. New York: Nancy.
- Malinowski, B. (1923). The Problem of Meaning in Primitive Languages. In: C. K. Ogden & I. A. Richards (Eds.), *The Meaning of Meaning*, 296-336. London: K. Paul, Trench, Trübner.
- Mchedlishvili, Megi B. (2010). Patikuri komunikatsiis verbaluri tipebi (pranguli, espanuri da kartuli enebis masalebze). [Verbal Types of Phatic Communication (on the materials of French, Spanish and Georgian languages)]. Scientific magazin "Scripta manent", 1(5), 77-82. Open diplomatic association. ISSN 1987-7390. http://www.odageorgia.ge/downloads/skripta_5_2010.pdf

- Orbeliani, S.-S. (1991). Leksikoni kartuli. [Dictionary of the Georgian Language]. (Prepared for publication by I. Abuladze. Eds. El. Metreveli, Ts. Kurtsikidze), 2 vols. The Academy of Sciences of SSR, Institute of Manuscripts. Tbilisi: Merani. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=8>
- Searle, J.R. (1969). *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. London: Cambridge University Press. <https://doi.org/10.1017/CBO9781139173438>
- GNC - The Georgian National Corpus. <http://gnc.gov.ge/gnc/page>
- Tsertsvadze, N. (2007). Patikuti komunikatsia da misi tipologia italiur enashi (tanamdrove italiuri enis masalaze). [Phatic Communication and its Typology in Italian Language (Basing on the material of the Modern Italian Language)]. Tbilisi: Publishing House "Tbilisi". <https://faculty.iliauni.edu.ge/arts/nino-tsertsvadze/?lang=en>
- Zekalashvili, R. (2012). Kartuli dialoguri metqveleba. Dziritadi lingvisturi da ekstralingvisturi makhasiateblebi. [Georgian dialogic speech. Main linguistic and extralinguistic characteristics]. Tbilisi: Publishing House "Universali", 2012. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/-144348/1/Qartuli_Dialoguri_Metyveleba.pdf

რამდენიმე სიტყვა დიმიტრი
ყიფიანის „ახალი ქართული
გრამმატიკის“ შესახებ

A Few Words on Dimitri Kipiani's "New
Georgian Grammar"

გიორგი გოგოლაშვილი
George Gogolashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, გრამატიკა, სკოლა
Key words: Georgian language, grammar, school

XIX საუკუნეში ქართული ენის რამდენიმე პრაქტიკული სახელმძღვანელო შეიქმნა. მათ შორის გამორჩეულია ცნობილი მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის, „ახალი ქართული ენის გრამმატიკა“, რომელიც გამოიცა 1882 წელს. წიგნი განსხვავდება ყველა წინამორბედისაგან შესრულების სტილითა და მეთოდოლოგიით: სახალისო, დიალოგის პრინციპზეა აგებული მსჯელობა და ურთიერთობა მოსწავლეებთან („მამისა“ „შვილებთან“) და კითხვა-ჩაკითხვის მეთოდით საუბრობს რთულ გრამატიკულ საკითხებზე.

მთავარი პრინციპები დ. ყიფიანისა არის „ეროვნულობა“ და „ზნეობრიობა“; ამ პრინციპებით განმარტავს გრამატიკულ ტერმინებსა თუ ცნებებს...

სახელმძღვანელოში, განსაკუთრებით ზმნის ნაწილში, არის მრავალი საინტერესო დაკვირვება, მიგნება, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ღიგეხაგუხა:

შანიძე, ა. (1998). დიმიტრი ყიფიანი როგორც გრამატიკოსი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, 300-305. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.

ჩიქობავა, არნ. (1998). დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენის თავისებურებათა საკითხი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, 306-314. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.

ყიფიანი, დ. (2019). თხზულებანი, ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „კოლორი“.

Several practical textbooks of the Georgian language were created in the 19th century. Among them "Grammar of the New Georgian Language" by a famous figure, Dimitri Kipiani, published in 1882 is distinguished. The book differs from all the previous publications in its style and methodology: dialogue-based discussion and interaction with students ("father's one" to "children") is so much fun and it uses a question-and-answer method to explain complex grammatical issues.

D. Kipiani's main principles are "being national" and "morality"; he uses these principles to explain grammatical terms or concepts. . .

In the textbook, especially in the verb part, there are many interesting observations, findings which have not lost their topicality even today.

References:

- Shanidze, A. (1998). Dimitri Qipiani rogoris gramatikosi. [Dimitri Kipiani as a Grammarian]. Issues of the Structure of Kartvelian Languages, VII, 300-305, Tbilisi: Publishing House "Kartuli Ena".
- Chikobava, Arn. (1998). Dimitri Qipiani da kartuli enis taviseburebata sakitkhi. [Dimitri Kipiani and the Issue of Peculiarities of the Georgian Language]. Issues of the Structure of the Kartvelian Languages, VII, 306-314, Tbilisi: Publishing House "Kartuli Ena".
- Kipiani, D. (2019). Tkhzulebani. [Works]. Vol. IV. Tbilisi: Publishing House "Kolori".

მდახწვედ ფუძის გააზრებისათვის

Towards Understanding *Mlarc'vel* Stem

ინგა სანიკიძე

Inga Sanikidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: XII საუკუნის ქართული ენა, დექსიკუხი ეხთეუდი,
განმახგება

Key words: XII century Georgian language, lexical unit, definition

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ლექსიკოლოგთა მიერ ქართული ლექსიკური ფონდის საფუძვლიანი შესწავლისა, თვით სამწერლობო ენის დონეზეც კი ცალკეულ შემთხვევებში მაინც რჩება მეტ-ნაკლებად შეუსწავლელი ერთეულები, რომლებიც თავიანთი ფორმითა და შინაარსით იქცევა ყურადღებას. ამჯერად ჩვენი კვლევა შეეხება XII ს-ის უცნობი ავტორის, თამარის ერთ-ერთი თანამედროვისა და მისივე ისტორიკოსის, საისტორიო წყაროში დაცულ კონტექსტსა და საკუთრივ ლექსიკურ ერთეულს – მლარწველ'ი (თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედ-თანი“).

ვიდრე უშუალოდ **მღახწვედ** ფუძის გააზრებაზე დავიწყებდეთ მსჯელობას, ვფიქრობთ, რომ მცირეოდენი მაინც უნდა ითქვას იმ ისტორიული კონტექსტის შესახებ, რომელშიც დასახელებული ერთეული ფიქსირდება. კერძოდ, ქართულ საისტორიო მეცნიერებაში კარგადაა ცნობილი ის ფაქტი, რომ, ფეოდალური სამართლის მიხედვით, მემკვიდრეობა მამიდან უფროს ვაჟზე გადადიოდა. ეს კანონი დაირღვა დავით აღმაშენებლის პირმშოს – დემეტრე I-ის [1125-1156] – მიერ, რომელმაც საკუთარ მემკვიდრედ უმცროსი ვაჟი, გიორგი III [1156-1184], გამოაცხადა. როგორც ჩანს, ამ მნიშვნელოვანმა არასამართლებრივმა საფუძველმაც შეუწყო ხელი იმ უკმაყოფილებას, რომელიც ჯერ თანადროულ ქართულ საზოგადოებაში გაჩნდა და რომლითაც, სავარაუდოდ, კარგად ისარგებლეს განდგომილმა ფეოდალებმაც, რასაც საბოლოოდ 1178 წლის აჯანყება მოჰყვა. დასახელებული ფაქტი საქართველოს ისტორიაში ორბელთა აჯანყების სახელითაა შესული. ქვეყანაში მიმდინარე შინააშლილობისა და სამხედრო დაპირისპირების ურთულესი პროცესი დემეტრე-დემნა უფლისწულისა და ორბელთა უმკაცრესი დასჯით დასრულდა. ქართული ისტორიოგრაფია ამ ვითარების შეფასებებისას არსებითად გიორგი III-ის ძლევამოსილებიდან და საქართველოს ცენტრალიზაციის მოსურნეობიდან ამოდის და შედარებით „მარტივად“ უყურებს დემნა უფლისწულის თავს დატრიალებულ ტრაგედიას, თუმცა ეს სამართლებრივი არეულობა, ვფიქრობთ, რომ მაინც ბევრს ანუხებს, მათ შორის უპირველესი კი ივ. ჯავახიშვილია. ის წერს: „IX საუკ. მოყოლებული... ყოველთვის განსვენებული მეფის უფროსი ვაჟი-

უფლისწული ადიოდა ხოლმე სახელმწიფო ტახტზე. მაშასადამე, წესიერად რომ ყოფილიყო საქმე მოწყობილი დემეტრე I შემდგომ უნდა მის უხუცესს ძეს დავითს ემეფა, მაგრამ მის მამას სხვანაირად განუსჯია. მომავალი აღმოაჩენს, როდესაც ახალი და საკმაო ცნობები გამოქვეყნდება, ჰქონდა დემეტრე I რაიმე კანონიერი საბუთი, როდესაც თავისს უფროსს შვილს მემკვიდრეობის უფლებას ართმევდა, თუ მართო პირადი გრძნობა და მიკერძოებითი სიყვარული ამოქმედებდა მას?“ (ჯავახიშვილი, 1983, გვ. 239). აშკარაა, რომ ქართველოლოგიის მშობელს მომავლის იმედი ჰქონდა. ფიქრობდა, რომ „ახალი და საკმაო ცნობების“ აღმოჩენის შემდგომ ცხადი გახდებოდა ქართული ფეოდალური სამართლის გამრუდების საფუძველი, მაგრამ დრომ ამ საქმის სასარგებლოდ ვერ იმუშავა და მხოლოდ მეცნიერულ თვალსაზრისთა ანაბარა დაგვტოვა. ივ. ჯავახიშვილი დასახელებულ მოვლენას დემეტრე I-ის უფროსი შვილისადმი [დავით V-ისადმი] უყვარულობა-სიძულვილით ხსნის (ჯავახიშვილი, 1973, გვ. 240).

ახლა ვნახოთ XII ს-ის თამარის ისტორიკოსის, „ისტორიანი და აზმანის“ უცნობი ავტორის თხზულების ის ნაწილი, რომელშიც დემეტრე I-ის მიერ მემკვიდრეობის ხაზის გადაწვევის მიზეზებზეა საუბარი. ტექსტში ვკითხულობთ: „დიმიტრისა (დემეტრე I - ი.ს. ანიკიძე) ... ორ ძე ებადესა, რომელთა დავით და გიორგი [ენოდებოდა სახელად]. **მაჩჩვევი** ძისა უმცროსისა **მდაჩჩვევი მკიცხველი** იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულყო პირველ მამისა. და მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამალლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა – მზე მნათობთა შორის“ (ისტორიანი და აზმანი, 1959, გვ. 3).

აშკარაა, უცნობი მემატრიანე გიორგი III-ისა და მოგვიანებით აღსაყდრებული მეფე-თამარის დინასტიური ხაზის მიმართ მიკერძოებულობისადა გამო ცდილობს, გაამართლოს დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის „ზნეობა“ და, რაც მთავარია, ამისა თავადაც სჯერა. აბა, რა უნდა მივიჩნიოთ ადამიანური ბუნების, ამ შემთხვევაში დემეტრე I-ის, სიკეთედ – ის, რომ მამამ საკუთარი შვილების გარჩევა [„მარჩეველი ძისა უმცროსისა“] დაიწყო და მრწემ ვაჟს მიანიჭა უპირატესობა, თუ ის, თავისი პირმშოს – დავითის –

„დღეთა შემცირებას“ რომ ითხოვს ღმრთისაგან და არა მხოლოდ სასიკვდილოდ იმეტებს მას, არამედ ლოცვებსაც წარმოთქვამს, რომ სიცოცხლის დღენი შეუმოკლდეს მას? თანაც ვინ ჩადის ამას, ბერად შემდგარი დემეტრე I, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართული ღვთის საგალობლის, „შენ ხარ ვენახის“, ავტორი. ამგვარი კითხვები თამარის ისტორიკოსის მიმართ ბუნებრივად იბადება, მის თვალღებაში გვარწმუნებს, თუმცა მათზე პასუხები, ჩვენი აზრით, ისტორიულმა მეცნიერებამ უნდა გასცეს, ჩვენ კი მდარჩვედ ფუძესთან დაკავშირებით გამოვთქვამთ საკუთარ შეხედულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ფუძე **მლარწველ’ი** სალექსიკონო ერთეულად ჯერ კიდევ სულხან-საბას ლექსიკონშია გამოტანილი და მისი გამოყენების ნიმუშად სწორედ „ქართლის ცხოვრების“ დასახელებული ადგილია მითითებული. ვკითხულობთ: „მლარწველი მკვირცხლ (მკიცხველი D) იქმნა“ (სულხან-საბა, 1991, გვ., 492); ხოლო „ქართლის ცხოვრების“ II ტომზე დართული ლექსიკონის შემდგენელი ს. ყაუხჩიშვილი, თავის მხრივ, ეყრდნობა სულხანისეულ განმარტებას და წერს: „მლარწველი („მკიცხველი“)“ (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 578).

ვფიქრობთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ამ ადგილას საქმე მდარჩვედ და მკიცხვედ ფუძეთა შინაარსობრივ აღრევასთან გვაქვს, მიზეზად კი (იშვიათი გამოყენების გამო) მლარწველ’ის შინაარსის არასწორი გაგება შეიძლება დავასახელოთ. კითხვები ასე დავსვათ – ნიშნავს თუ არა მლარწველი მკიცხველს, როცა ტექსტში ეს ორი სასუბიექტო მიმღეობა ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული? სინონიმური ცალებია ისინი თუ განსხვავებული შინაარსის ფორმები? ჩვენი ძირითადი მიზანი, სწორედაც რომ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემაა.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტის აკადემიური გამოცემის სქოლიოში მოცემულია კ. კეკელიძისეული წაკითხვა განსახილველი კონტექსტისა, რომელმაც, როგორც ჩანს, იმთავითვე შექმნა ერთგვარი შინაარსობრივი არეულობა და მეცნიერი აიძულა ტექსტი გაემართა. ჩვენი აზრით, კ. კეკელიძემ სავსებით სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ამ ორ ლექსიკურ ერთეულს შორის და კავშირი განათავსა და იგივე კონტექსტი ასე დაა-

ზუსტა: „მლარწველ და მკიცხველ კეკ.“ (ისტორიანი და აზმანი, 1959: 3). იმისათვის, რომ მლარწველ ფუძის შინაარსს სიცხადე შევძინოთ, ჯერ მის მორფოლოგიურ აგებულებას უნდა დავაკვირდეთ. უპირველესად თვალშისაცემი მოქმედებითი გვარის მიმღეობის მანარმოებელი კონფიქსი მ-ელ [შდრ. მ-კეთებ-ელ-ი, მ-ზომვ-ელ-ი და მისთ.] მოჩანს, მარკერთა გამოცალკევების შედეგად კი რაღაც ფუძე რჩება. სიტყვის მორფოლოგიური აგებულება გვაიძულებს, მასში ასევე მასდარული ლა- პრეფიქსიც დავინახოთ [შდრ. ლა-ხტ-ი < *სა-ხტ-ი, ანუ სახტუნავი საშუალება; ისევე, როგორც: ლა-რთხ-ი < *სა-რთხ-ი ფორმაში], რომელსაც უკვე ძველ ქართულში დაკარგული აქვს ისტორიული ფუნქცია და ზოგ შემთხვევაში ფუძესაცაა შეხორცებული. ლა- / ლე- / ლი- პრეფსულ წარმოებებს ვ. თოფურია ნა- [ნა-თელ'ი] / ნე- [ნე-რწყუ'ი] / ნი- [ნი-კაპ'ი] წარმოებების გვერდით აყენებს და ფონემათა მონაცვლეობას (ფონეტიკურ სახეცვლილებას) მიაწერს, ამის შედეგად კი მათ „ნარნარა ნ-/ლ- ელემენტიან პრეფიქსებს“ უწოდებს (თოფურია, 1979, გვ. 93). მეცნიერი ლ-შემადგენლიან მორფემებს ძირითადად სვანური ენის კუთვნილებად ასახელებს: „დღევანდელს სვანურში მეტად ცოცხალია და ხშირ სახმარებლადაც გამოყენებული ლი-, ლე, ლა- თავსართები...“ (თოფურია, 1979, გვ. 63). ამრიგად, ისტორიული ლა- პრეფიქსი მასდარული მანარმოებელი მოჩანს და, ჩვენი აზრით, ის ნა-ს პირდაპირი ეკვივალენტი არ არის. ამრიგად, თუკი *ლარწვ ფუძე, თავის მხრივ, საობიექტო მიმღეობაა და მასში ისტორიული ლა- თავსართი აღდგება, ძირეულ ზმნურ ელემენტებად რწვ უნდა გამოიყოს, რომელსაც [ა]-რწევ-ს [< რწევ-ა] ზმნის ფორმა-შინაარსთან მივყავართ, ამ ძირეულ ფუძეზე დაყრდნობით მიღებულ უძველეს მასდარში კი ე ხმოვნის რედუქციასა მომხდარი, ხოლო ლა- პრეფიქსი ფუძეს შეხორცებული მორფემაა, რომელსაც ძველ ქართულში წარმოების პროდუქტიულობაც დაკარგული აქვს და ხშირ შემთხვევაში ვეღარც მასდარულ გაგებას ინარჩუნებს [შდრ. ლა-ჯ-ი < *სა-ჯ-ი, ანუ ცხოველზე, მაგ., ცხენსა და კარაულზე საჯდომი ნაწილი]. ასეთ ვითარებაში, ცხადია, რომ მ-ლა-რწვ-ელ-ი ისტორიულად სხვა არაფერს არ უნდა ნიშნავდეს, თუ არა მჩწვევდს, ანუ ოჩქოფს, მეოჩქოფეს, აქ კი – შვიდისადმი [ღავით V-სადმი] უნ-

ღოს, უნდობაჲს, ანუ მასში მაეჭვებელს, შვიდისადმი ნდობადაკაჲგურღს. ასე რომ, „მლარწველი“ და „მკიცხველი“ არც სინონიმებია და არც პირველი მათგანია განსაზღვრება, რომ „ქართლის ცხოვრების“ ეს კონტექსტი ასე გავიგოთ: „მკვირცხლ მკიცხველი“ [/სწრაფი გამკიცხველი?]. საქმე ის არის, რომ **მარჩევალი, მლარწველი და მკიცხველი** – სამივე ეს სასუბიექტო მიმღეობა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით შინაარსობრივ-ფორმობრივად დემეტრე I-ს მიემართება, რაც, ჩვენი აზრით, გავაიძულებს ვ. კეკელიძისადაგვარად ან **ღა** კავშირი განვათავსოთ შერწყმულ სტრუქტურაში, ან სასვენი ნიშანი, კერძოდ, მძიმე მაინც ჩავსვათ მასში და ტექსტი ასეთი ფორმით გავმართოთ: „მარჩევალი ძისა უმცროსისა მლარწველი, მკიცხველი [ან: მლარწველი და მკიცხველი] იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი“.

ღიღეჲატუჲა:

- თოფურია, ვ. (1979). ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის, შრომები. ტ. III. 63-72. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ისტორიანი და აზმანი (1959). ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წიგნში: „ქართლის ცხოვრება“. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. ტ. II. 1-114. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- სულხან-საბა (1993). ლექსიკონი ქართული. ორტომეული. გამომცემული ელ. მეტრეველისა და ც. ქურციკიძის რედაქტორობით. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- ქართლის ცხოვრება (1959). ქართლის ცხოვრება. ლექსიკონი და საძიებლები. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. ტ. II. 543-703. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ჯავახიშვილი, ივ. (1983). ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი 12 ტომად. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

It should be noted that despite a thorough study of the Georgian vocabulary carried out by lexicologists, certain cases of lexical units (that capture our attention due to their form and content) remain more or less unexamined on the level of the literary language. At this point, our study will deal with a particular lexical unit, *mlarc'vel-i* (in *The Histories and Eulogies of the Sovereigns*) and the context attested in the historical source, attributed to an unknown, 12th-century author, i.e. Queen Tamar's historian and one of her contemporaries.

Before proceeding to the discussion on making sense of the *mlarc'vel* stem, we believe, the historical context in which the above-mentioned lexical unit occurs is worth brief consideration. Namely, Georgian historical science is well acquainted with the fact that the eldest son would receive an inheritance from his father, according to feudal law. Demetrius I [1125-1156], King David the Builder's eldest son violated the very law by proclaiming his youngest son, George III [1156-1184] his successor. This significant infringement contributed to pervasive discontent that first became obvious among the Georgian society of the time. The renegade feudal lords supposedly took advantage of such dissatisfaction to a great extent that finally resulted in the revolt of 1178. In Georgian history, the above-mentioned fact is known as the revolt led by the Orbelis. The most complex ongoing process of internal disturbances and military confrontation in the country led to an intolerably cruel punishment of Prince Demetre-Demna as well as that of the Orbelis. When evaluating this circumstance, Georgian historiography essentially examines it from the perspective of the authority of George III and the aspiration toward centralization of Georgia, observing the tragedy of Prince Demna with a relatively simple approach; however, we believe, still many are concerned with the infringement of the law, uppermost of whom is Iv. Javakhishvili. He states, "from the 9th century on, always the late King's eldest son, the Prince would ascend the throne. Therefore, in a legitimately organized setting, David, the eldest son of Demetrius I should have reigned, however, his father's decision prevented it from happening. When new and sufficient records are made widely available, the future will unravel whether Demetrius I had some valid document when he deprived his el-

dest son of the inheritance right or he was biased and overwhelmed with fondness and love” (Javakhishvili, 1983, p. 239). It is obvious that the father of Kartvelology had faith in the future. He thought that the future discovery of “new and sufficient records” would shed light on what contributed to the breach of the Georgian feudal law. However, these expectations never materialized, merely leaving us equipped with scholarly views. Iv. Javakhishvili explains the above-examined circumstance through Demetrius’ lack of love and hatred toward his own eldest son [David V] (Javakhishvili, 1973. p. 240).

Let us examine the part of the composition by Tamar’s historian of the 12th century, the unknown author of *The Histories and Eulogies of the Sovereigns* which discusses the reasons for changes introduced by Demetrius I in the line of inheritance. The text reads: “Demetre (Demetrius I – I. Sanikidze) ... had two sons, [whose names were] David and George. (Demetre) gave preference (*marčveli*) to his youngest son as Isaac did with Jacob and he became *mistrustful of* [and] *reviling* (*mlarc’veli mk’icxveli*) the eldest son. God, who listened to Demetre’s supplications, shortened David’s days, calling David to himself before his father. And God the Father, together with His son Jesus Christ, raised the dearest son – who resembled his father – to his side to share the throne with him, exposing him, like the Sun among the heavenly bodies” (The Histories and Eulogies of the Sovereigns, 1959. p. 3).

Obviously, due to a bias towards the dynastic line of rulers such as George III and the subsequently enthroned Queen Tamar, the unknown chronicler tries to justify the behavior of Demetrius I and George III, most importantly, believing in this line of thought. What should be considered to be human kindness? - The fact that in this case Demetrius I preferred one son over the other [“gave preference to his youngest son”], giving priority to the younger? Or the fact that he asked God for the “shortening of days” for his eldest son David, not only condemning him to death but also offering prayers for his own son’s untimely death? And who is the one who commits such an act? - It is Demetrius I. The one who has become a monk, being an author of one of the most popular Georgian hymns entitled *Thou Art a Vineyard*. Such questions naturally emerge to be answered by Tamar’s historian,

providing convincing evidence of his partiality; however, we think, the answers are to be clarified by the historical science; we, on the other hand, will offer our perspective on the *mlarc'vel* stem.

It should be noted that the *mlarc'vel-i* stem as a lexical unit has been assigned a specific entry in *A Georgian Dictionary* by Sulkhan-Saba Orbeliani, referring to the specified section of *The Georgian Chronicles* itself as its relevant example. The quote reads as follows: “mlarc'veli mk'virxli (mk'icxveli D) ikmna” [became mistrustful of, reviling (reviling D)] (Sulkhan-Saba, 1991, p. 492), while S. Kaukhchishvili who compiled the vocabulary supplemented to the volume 2 of *The Georgian Chronicles*, for his part, alludes to Sulkhan's definition and specifies: “mlarc'veli (“mk'icxveli”) [“mistrustful of (“reviling”)]” (The Georgian Chronicles, 1959, p. 578).

We believe, the confusion of the meaning of *mlarc'veli* and *mk'icxveli* stems is encountered in this part of the text of *The Georgian Chronicles*, the reason of which could be an incorrect understanding of the meaning of *mlarc'veli* (because of its rare use). Let us pose the following questions: does or does not the form *mlarc'veli* mean *mk'icxveli* when these two active participles are side by side in the text? Are they synonymous? Or do they differ in terms of meaning? Answering these questions is our primary objective.

The scholia in the academic edition of the text of *The Georgian Chronicles* presents K. Kekelidze's interpretation of the context under discussion, which, from the very beginning, apparently introduced some confusion into the meaning, leading the scholar to engage in the editing of the text. In our opinion, K. Kekelidze's decision to insert the **da** (“and”) conjunction between these two lexical units has been a valid step, specifying the very context the following way: “mlarc'vel (mistrustful of) and mk'icxvel (reviling) Kek.” (The Histories and Eulogies of the Sovereigns, 1959, p. 3). In order to clarify the meaning of the *mlarc'vel* stem, at first, its morphological structure is to be observed. First of all, the confix m-el [cf. m-k'eteb-el-i, m-zomv-el-i, and so on] forming an active participle is apparent; once markers are removed, *larc'v* stem remains. The morphological structure of the word requires identification of the la- prefix of a verbal noun (masdar) as

well [cf. la-x t'-i < *sa-xt'-i or a jump rope; just as in the la-rtx-i < *sa-rtx-i form], the prefix that lost its historical function already in the Old Georgian and, in some cases, merged with the stem. V. Topuria examines the forms with la- / le- / li- prefixes together with the na- [na-tel'i] / ne- [ne-rc'q'u'i] / ni- [ni-k'ap'i] derivative forms, attributing them to alternation of phonemes (a phonetic variation) and subsequently having them referred to as “prefixes with sonant n-/l-elements” (Topuria, 1979, p. 93). The scholar considers the morphemes with an l- element to be primarily of the Svan origin: “rather active and frequent use of the li-, le-, la- prefixes has been observed in the contemporary Svan language...” (Topuria, 1979, p. 63). Thus, the historical **la-** prefix seems to be a masdar marker and, in our opinion, it is not a direct equivalent of **na-**. Therefore, if the *larc'v stem, in its turn, is a passive participle, which has its historical la- prefix restored, then **rc'v** must be identified as radical verbal elements that lead us to the form and content of the [a]-**rc'ev**-s [< **rc'ev**-a] verb. The reduction of the **e** vowel has occurred within the oldest masdar that derived from this radical stem, as for the **la-** prefix, it is a morpheme merged with the stem; the morpheme that has lost its derivative capacity in the Old Georgian, frequently failing to maintain the masdar meaning [cf. la-j-i < *sa-j-i, i.e. inner thigh]. Under these circumstances, it is clear that historically the **m-la-rc'v-el-i** form must mean nothing but **swaying, i.e. double-minded, vacillating, here denoting mistrustful one, suspicious of his son [David V] or incredulous, having lost faith in his own son**. Thus, **mlarc'veli** and **mk'icxveli** are not synonyms; the former is not an attribute either, hence, preventing us from understanding this context from *The Georgian Chronicles* as “mk'virxcl mk'icxveli” [‘quick to revile?]. The point is that in terms of content and form, **marčevali** (the one giving preference to), **mlarc'veli** (mistrustful one, suspicious of), and **mk'icxveli** (reviling) – all three of these active participles refer to Demetrius I, according to the text of *The Georgian Chronicles*. We believe, this obliges us to either include **da** (“and”) conjunction within a compact structure (as proposed by K. Kekelidze) or, at least, insert a punctuation mark, namely, a comma, specifying the text the following way: (Demetre) gave preference (**marčevali**) to his youngest son as

Isaac did with Jacob and he became mistrustful of (mlarc'veli), reviling (mk'icxveli) [or: mistrustful of (mlarc'veli) and reviling (mk'icxveli)] (the eldest son).

References:

- Topuria, V. (1979). Ne-, ni-, na-, prefiksebisatvis. [On ne-, ni-, na- Prefixes]. Works. Vol. 3. 63-72. Tbilisi: Publishing House "Metsniereba".
- History and Eulogies (1959). Istoriani da azmani sharavandedtani, tsignshi: "kartlis tskhovreba". [The Histories and Eulogies of the Sovereigns in: *The Georgian Chronicles*]. S. Kakhchishvili (ed.), Vol. 2. 1-114. Tbilisi: Publishing House "Sabchota Sakartvelo".
- Sulkhan-Saba (1993). Leksikoni kartuli. ortomeuli. [A Georgian Dictionary. 2 Volumes]. El. Metreveli, Ts. Kurtsikidze (eds.). Vol. 2. Tbilisi: Publishing House "Merani".
- The Georgian Chronicles (1959). Kartlis tsxovreba. leksikoni da sadzieblebi. [The Georgian Chronicles. The Vocabulary and Annexes]. S. Kakhchishvili (ed.), Vol. 2. 543-703. Tbilisi: Publishing House "Sabchota Sakartvelo".
- Javakhishvili, Iv. (1983). Kartveli eris istoris. txzulebani 12 tomad. [A History of the Georgian Nation. 12-volume collected works. Vol. 2. Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

სინონიმურ წყვილთა
ფუნქციურ-სემანტიკური
ნიშანდებისათვის ქართულში
(გარჯა, ღვაწლი)

About functional-semantic designation of
the synonym pairs in Georgian language
(garja "toiling", ghuatsli "contributing
through restless work")

მედეა ღლონტი
Medea Ghlonti

თსუ აკად. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: სემანტიკა, სინონიმია, დექსიკოლოგია
Key words: semantics, synonymy, lexicology

I. მდიდარ ქართულ სინონიმშიკაში აშკარად გამოცალკევდება ჯგუფი, რომელშიც თავს იყრის კონკრეტული სემანტიკურ-ტიპობრივი ნიშნით შეწყვილებული სინონიმები (მაგალითად: **ძალა** და **ღონე**; **ცოდვა** და **ბრალი**; **ნიჭი** და **მადლი**; **მადლი** და **წყალობა**; **ნება** და **სურვილი**; **ამხანაგი** და **მეგობარი**...).

საგანგებო ყურადღებას იქცევს ამ სინონიმურ წყვილთა ისტორიული ფუნქციური მადიფერენცირებელი მაჩვენებელი, კერძოდ: სინონიმურ მენწყვილეთა ხილულისა და უხილავის, ხორციელისა და სულიერის, საწუთისოფლოსა და საღვთოს ნიშანდობლივი გამთლიანება, რის სარწმუნო მტკიცებულება მოგვეწოდება როგორც ქართული კლასიკური მწერლობიდან (რუსთაველი, ბართაშვილი, ილია, გალაკტიონი...), ისე ქრისტიანული საეკლესიო ლიტერატურიდან (პატრისტიკა, ეგზეგეტიკა, ჰომილეტიკა, კატეხიზმო...).

რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპის მომარჯვებით (ღლონტი, 2017), შესაძლებელი ხდება, სარწმუნოდ განისაზღვროს ქართული ენობრივი არჩევანი მოხსენებაში განსახილველი სინონიმური წყვილისა – **გარჯა** და **ღვანლი**, ასევე, მათი როგორც თავდაპირველი ფუნქციური სემანტიკის, ისე ე.წ. სინონიმიზაციის განმაპირობებელი წანამძღვრები.

II. ქართ. **გარჯა** „დაუზარებლობა, მუყაითობა; შრომა, ჯაფა“ (ქეგლ, 1950-1964) – განეკუთვნება **-სჯ-/-შჯ-/-რჩ-/-რჯ-** (< ***-საჯ-**) ძირ-მორფემებით წარმოებულთა ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეს (ასამდე ლექსიკური ერთეული), შდრ.:

ძვ. ქართ. გან-**სჯ**-ა, გან-**შჯ**-ა, გან-**რჩ**-ა „სასამართლო, «განკითხვა», **სჯ**-ული, **შჯ**-ული, **რჩ**-ული, **რჯ**-ული „კანონი, სამართალი; განაჩენი; სასჯელი, მოძღვრება“; **სამსჯავრო** „სასამართლო“ (ორბელიანი, 1991-1993; აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001); **სასჯულო** „სჯულისათვის, კანონისათვის განკუთვნილი, – სჯულისა. ძვ. «სამართლის წიგნი»“ (ორბელიანი, 1991); ხევს. **დაღრჯულავს** „რჯულით წყვეტს სადავოს“ (ჭინჭარაული, 2005) და სხვ.

საკუთრივ ქართ. **გარჯის** და მისგან წარმოებულთა სემანტიკურ ველში დანიშნურებულია სემანტემა: „მონდომებით, გულმოდგინედ განეული **ფიზიკური** შრომა“, შდრ.: **გაირჯება** (← **გასარჯა** ზმნის მოქმედება) – „შრომა-ჯაფას გასწევს, იზრუნებს,

თავს შეიწუხებს (რისამე გაკეთებით, რაიმე საქმიანობით)“, ქართ. **ჯაფა** (← არაბ.) „მძიმე შრომა“ (ქეგლ, 1950-1964) და სხვ.

თუმცა, **გარჯის** ზემომოხმობილი სემანტიკური მონაცემიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა-ცნება, თავდაპირველად, **რჯულისმიერი-რჯულმდებლობითი** დანიშნულებით იყო მოსილი, რაზეც ასევე მიგვანიშნებს ქართ. **გარჯის** არაერთი საგულისხმიერო ლექსიკოგრაფიული განმარტება, სათანადო წყაროთა დამოწმებით, მაგალითად: **გარჯა** „მოუსვენებლობით შრომა“; **სარჯულო, საშჯულო** „(1, 6 ზაქარ. Z) შჯულის საქმე“; „მოღვაწეობა, მომჭირნეობა; ზრუნვა, ღვანლი; შრომა, გარჯილობა“; „თავდადებით შრომა“; **გარჯილი** „ნამსახური“, **გარჯილობა** „ნამსახურობა“ (ორბელიანი, 1991-1993; ჩუბინაშვილი, 1984; ჩუბინაშვილი, 1961) და სხვ.

III. ქართ. **გარჯის** სინონიმური მენწყვილეა – **ღვანლი** ← ძვ.ქართ. **ღუნა, ღუნოლა, ღუნლი**, პოლისემანტიკით: „შრომა, გარჯა, ზრუნვა; ზედამდგომელობა; ბრძოლა, სიძნელე, სიმძიმე; გაჭირვება; სწრაფვა; ცდა; დარდი“ (აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001; იმნაიშვილი, 1986), ასევე – „საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის განეული შრომა, – ამაგი, სამსახური“; შდრ.: ქართ. **სამსახური** „ვისიმე ან რისამე კეთილდღეობისათვის საქმიანობა, – მოღვაწეობა, ღვანლი“ (ქეგლ, 1950-1964); „**ღუნლი** არს დიდად გაჭირებული საქმე ბრძოლისა, გინა სათნოებისა“; **სარჯელი, სასჯელი, საშჯელი** „საქმის მიჭირვება“, **სარჯულო, საშჯულო** „შჯულის საქმე“; „მოღვაწეობა, მომჭირნეობა; ზრუნვა, ღვანლი; შრომა, გარჯილობა“, **ღვანლით მძლე** „გამარჯვებული ბრძოლასა შინა“ (სულხან-საბა, 1993; ჩუბინაშვილი, 1984; ჩუბინაშვილი, 1961) და სხვ.

IV. მოხსენებაში წარმოდგენილი ქართული სინონიმური წყვილის – **გარჯისა** და **ღვანლის** – ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია დასკვნა:

განსახილველი სინონიმური წყვილის **თავდაპირველი სემანტიკით** ჩენილი **რჯულისმიერი ფუნქციონირება** დღეისათვის შენარჩუნებული აქვს ქართულ სიტყვა-ცნებას – **ღვანლი** (← ძვ.ქართ. **ღუნა, ღუნოლა**), მისი საეკლესიო-საღვთისმეტყველო სემანტიკური ნიშანდებით: „საკუთარი სულის გადარჩენისათვის

განუღი და ქრისტესთვის მადლიერებით შეწირული შრომა-გარჯა, გაჭირვება, განსაცდელი და ბრძოლა, ანუ ჭეშმარიტი ქრისტესმიერი ცხოვრების წესის ღირსეულად აღსრულება“.

სიტყვა-ცნება **ღვანლის** სწორედ **რჯულისმიერმა სემანტიკურმა ფუნქციონირებამ** განაპირობა ის, რომ ჩვენს ყველა სახელოვან მამულიშვილს მადლიერებით უწინარესად ვიხსენიებთ – „ღვანლმოსილად“, რამეთუ მან თავისი ღვთივბოძებული ნიჭი საკუთარი სამშობლოსათვის ამრავლა დიდებული ღვანლით – თავდადებული მუშაკობით, განსაცდელთა თმენით, ხილულ თუ უხილავ მტერთან ბრძოლაში გამარჯვებით, და ესე ყოველი – თავგანწირულად, სიხარულით შესწირა ქართველი ერის კეთილდღეობას.

რაც შეეხება ქართ. **გარჯას**, ყურადღებას იპყრობს მისი დღევანდელი ლექსიკურ-სემანტიკური ფუნქციონირება, კერძოდ, ის, რომ იგი (გარჯა) არ იპოვება, ვითარცა საგანგებო ცნებითი ფუნქციონერი სიტყვა, და ოდენ „მძიმე შრომის“ აღმნიშვნელ ლექსემადაა დამკვიდრებული. მეორე მხრივ, ქართ. **გარჯის** სინონიმური მენყვილის (ღვანლის) მსგავსი ზიარი სემანტიკა გამჭვირვალედ აღიბეჭდება მისი **-რჯ-** ძირ-მორფემის (→ ძვ.ქართ. გან-რჯა) ზემოგანხილული ამოსავალი სემანტიკით – „(სავალდებულოდ აღსასრულებელი) რჯული, წესი“.

ამ თვალსაზრისით, არანაკლებ საგულისხმოა ქართულ საეკლესიო ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული კიდევ ერთი სინონიმური წყვილი: ქართ. **მორჩილი**, მნიშვნელობით – „სამონაზვნოდ განმზადებული“, და ქართ. **მსახური**, მნიშვნელობით – „საეკლესიო მსახური: ბერად აღკვეცილი, მღვდლად ნაკურთხი“ (იხ.: ღლონტი, 2005).

ღიგეხატუხა:

აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები).

თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

იმნაიშვილი, ი. (1986). ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა.

შანიძის რედაქციით. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

- სარჯველაძე, ზ. (2001). ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. თბილისი: „სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა“.
- ორბელიანი, ს.-ს. (1991-1993). ლექსიკონი ქართული, I-II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- ქეგელი (1950-1964). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ღლონტი, მ. (2005). „მსახურის და მორჩილის თავდაპირველი სინონიმისათვის“. II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის ცენტრი (მასალეები): 139-141. თბილისი; იხ. ასევე: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVI, ეძღვნება ქრისტიანობის ოც საუკუნეს საქართველოში, 23-27 მაისი, 2005, 87-89.
- ღლონტი, მ. (2017). „რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპისათვის (სიტყვა-ლოგოსი და სიტყვა-კაცობრივი)“. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, „ენა და კულტურა“, II: 155-166. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- ჩუბინაშვილი, დ. (1984). ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ჩუბინაშვილი, ნ. (1961). ქართული ლექსიკონი, აღ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ჭინჭარაული, ა. (2005). ხევსურული ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.

The group of synonymous pairs existing on the basis of certain semantical-typical peculiarities can be clearly seen in rich synonymy of the Georgian Language, for example:

dzala "might" and **ghone** "forcee"; **tsodva** "sin" and **brali** "fault"; **nichi** "talent" and **madli** "gift"; **madli** "gift" and **tskaloba** "grace"; **neba** "will" and **survili** "wish"; **amkhanagi** "comrade" and **megobari** "friend" etc.

The differentiating historical functional marking draws special attention, namely, the historically remarkable unifying process of such differentiating synonymous pairs as visible-invisible, corporeal-mental, real world-heavens – which is clearly seen from the pieces of Georgian classical and religious literature.

On the basis of the principle of unity of the faith and knowledge (Ghlonti, 2017), it becomes possible to explain definitely the linguistic choice out of the Georgian synonymous pair **garja** "toiling" and **ghuatsli** "contributing through restless work" – which represents the main question of the represented paper, and besides that, we will try to discuss the original functional semantics as well as the pre-conditions of so-called synonymities of the given pair.

II. In Georgian the word **garja** "diligence; working; doing hard work" (EDGL, 1950-1964) – belongs to the lexical-semantical nest of the words derived by the some root morphemes, namely **-sj-/-shj-/-rch-/-rj-** (< ***-saj-**), implies about a hundred of the lexical units, comp.: old **gan-sj-a**, **gan-shj-a**, **gan-rch-a** "the court of honour"; old **sj-uli**, **shj-uli**, **rch-uli**, **rj-uli** – means "the rule, punishment, doctrine"; **samsjavro** – "the code, the court" (Orbeliani, 1991-1993; Chubinashvili, 1984; Chubinashvili, 1961); **sasjulo** – "according the existing code, the rules - means a book of the existing ancient code of rules" (Orbeliani, 1991-1993); **daghrjulavs** – "decision-making on the „*doctrine basis*" (Chincharauli, 2005), etc.

In the semantic field of the word **garja** most actively used is a semanteme – "deliberate physical work", comp.: **gairjeba** (from the action **gaisarja**) in meaning of "work, try, disturb itself to do something"; the same as **jafa** (← Arab.), meaning in Georgian "hard work" (EDGL, 1950-1964), etc.

Though, according the above named semantic data concerning the word **garja**, it can be supposed that this word-notion firstly was used in the sense of religious belief - which can be confirmed by the noteworthy lexicographic entries of some Georgian dictionaries concerning the word **garja**, for example, let us consider some explanations: **garja** "restless work"; "dedicated work"; **garjili** "one who has done much work", **garjiloba** "having done the work" (Orbeliani, 1991-1993; Chubinashvili, 1984; Chubinashvili, 1961), etc.

III. In Georgian, the synonymous pair for **garja** "toiling" is **ghvatsli** "merit" (← old **ghutsa**, **ghutsola**, **ghuatsli**) with the following polysemic: „hard labor, restless work, care, supervision; struggle, overcoming difficulty, hardness, hard living, aspiration, trying; sorrow“ (Abuladze, 1973; Sarjeladze, 2001; Imnaishvili, 1986); also, "work in the social life field, in favor of the country, merit", comp.: **samsakhuri** "care about country, work for its benefit" (EDGL, 1950-1964).

See also the explanation of old **ghuatsli** as "working for well being of the country, serving the country" (EDGL, 1950-1964); comp.: **ghuatsli** "hard work such as in struggle for virtue" and **sarjulo**, **sashjulo** – "matter of religious belief" and: "doing useful activities; take care, merit"; **ghuatsli** "working hard, resless, doing job" (Orbeliani, 1993); comp.: **ghvatslit mdzle** – "who is a winner of the battle" (Chubinashvili, 1984; Chubinashvili, 1961).

IV. Resulting from the lexical-semantic analysis, given in the represented paper (**garja** "toiling, hard work" and **ghvatsli** – "toiling, contributing through the restless work"), we represent to you the following conclusion:

The initial semantics function of the Georgian synonymous pair of word-notions is preserved till nowadays through the semantics of the Georgian word-notion **ghvatsli** – "toiling through hard work" (← old **ghutsa**, **ghutsola**, **ghuatsli**) which is clear from the definition such as: "Everyday work which is dedicated to saving the own soul and is showing loyalty and faith dedicated with great merci to Christ, overcoming the difficulties, poverty, hard times and struggle which all together means fulfilling the doctrine of Christ with dignity".

This conditioned the fact that we name all our famous compatriots are named as "meritorious" (in **ghvatslmosili**), as by their great deeds they contributed to development and wellbeing to their country, with joy they resisted much difficulties on their way in benefit of the future of the country.

As for the word **garja**, its lexical-semantic functioning nowadays attracts our attention. We mean namely the fact that there is no special notional designation for this word and it is used only as a lexeme in meaning of "hard work". On the other hand, the root-morpheme **-rj-** (→ old **gan-rj-a**) clearly shows the same shared semantics as it really represents itself as the member of the synonymous pair **garja** and **ghvatsli** as "a representative" of the lexical-semantic nest of the root "**saj**" which in its turn represents a bearer of the semantics of the words **rjuli**, **tsesi** ("meaning: religion, law, religious doctrine").

Though, from this point of view, it is important to consider also the term from the Georgian church terminology, representing member of the synonymous pair, namely the Georgian terms: **morchili** denoting one "who passes the preparation period for becoming a blessed" and **msaxuri** "church servant", as a monk or as a priest (Ghlonti, 2005).

References:

- Abuladze, I. (1973). *Dzveli kartuli enis leksikoni (masalebi)*. [Old Georgian Language Dictionary (materials)]. Tbilisi: Publishing House "Metsniereba".
- Imnaishvili, I. (1986). *Kartuli Otkhtavis simfonia-leksikoni*. [Symphony-dictionary of the Georgian Four Gospels]. Edited by A. Shanidze. Tbilisi: "TSU Publishing House".
- Sarjveladze, Z. (2001). *Dzveli kartuli enis sitkvis kona*. [Old Georgian Dictionary]. Tbilisi: "Publishing House of Georgian State Pedagogical Institute of Sulkhan Saba Orbeliani".
- Orbeliani, S.-S. (1991-1993). *Leksikoni kartuli*. [Georgian Language Dictionary]. I-II. Tbilisi: Publishing House "Merani".
- EDGL (1950-1964). *Kartuli enis ganmartebiti leksikoni*. [The Explanatory Dictionary of the Georgian Language]. Edited by prof. Arn. Chikobava. Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

- Ghlonti, M. (2005). "Msakhuris da morchilis tavidapirveli sinonimiisatvis". ["About the original synonymous pair msakhuri "servant" and morchili "submissive"]. The International Symposium – "Christianity in our Life: Past, Present, Future, short papers", November 24-26; International Center for Christian Studies at the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia: 139-140. Tbilisi: Publishing House "Mematiane"; also: Arnold Chikobava's Reading, XVI (Materials), Dedication to Twenty Century of Christianity in Georgia, 23-27 May, 2005: 87-89. Tbilisi: Publishing House "Kartuli Ena".
- Ghlonti, M. (2017). "Rtsmenisa da tsodnis gaertianebis printsipisatvis (sitkva-logosi da sitkva-katsobrivi)". ["To the Principle of Uniting the Faith and the Knowledge (the Word-Logos and the Word-human)"]. "Language and Culture", II; Georgian-American University (GAU): 155-166. Tbilisi: Publishing House "Meridiani".
- Chubinashvili, D. (1984). Kartul-rusuli leqsikoni. [Georgian-Russian Dictionary]; Tbilisi: Publishing House "Sabchota Sakartvelo".
- Chubinashvili, N. (1961). Kartuli leqsikoni. [Georgian Dictionary]. Researched and edited by Al. Ghlonti. Tbilisi: Publishing House "Sabchota Sakartvelo".
- Chincharauli, A. (2005). Khevsuruli leksikoni. [Dictionary of Khevsureti dialect]. Tbilisi: Publishing House "Kartuli Ena".

ზოგი უ- – -ო სახელურფუძიანი
ოკაზიური ზმნური ფორმის შესახებ
„ვეფხისტყაოსანში“

On Certain Occasional Verb-forms with
Nominal Stems and *u- – -o* Circumfix
in “The Knight in Panther’s Skin”

მაია ლომია
რამაზ ქურდაძე
ქეთევან მარგიანი
Maia Lomia
Ramaz Kurdadze
Ketevan Margiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: *ოკაზიური ზმნური ფორმები, „ვეფხისტყაოსანი“,
სახედური ფუძე, უწყვეტელი, წყვეტილი.*

Key words: *Occasional verb-forms, “The Knight in Panther’s Skin”, nominal
stem, imperfect, aorist.*

შოთა რუსთაველი არაერთ ოკაზიურ ფორმას ქმნის „ვეფხისტყაოსანში“, რითაც ქართული ენობრივი გამომსახველობის შესაძლებლობებს წარმოაჩენს. პოემაში ასეთ თავისებურ ფორმათაგან ყურადღებას იქცევს უ- – -ო სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური ფორმები: **უჩუმოდა, უდიდოდა, უმხნეოდა**. სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია „უჩუმოდა“-ს კვალიფიკაციაზე, რომელიც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი; შესაბამისად, განსხვავებულია სეგმენტაციის პრინციპებიც; კერძოდ: 1. ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა: უ- სასხვისო ქცევის ნიშანია, -ოდ კი უწყვეტლის სავრცობი. 2. ამოსავალ საწყის ფორმად გამოყოფილია უჩუმო; მთლიანად ზმნა ერთპირიანი უწყვეტლის მწკრივის ფორმაა, -დ- კი უწყვეტლის სავრცობი. უჩუმოდა-ს ტიპის წარმოებად განიხილება ასევე პოემაში დადასტურებული უდიდოდა, უმხნეოდა ფორმები: უ- – -ო აფიქსით წარმოქმნილი უ დ ი დ ო და უ მ ხ ნ ე ო სახელური ფუძეებისგან ნაწარმოებია ზმნათა უწყვეტლის ფორმები. უჩუმოდა შეიძლება იყოს შედგენილი შემასმენელიც: უჩუმოდ- სახელური ფორმაა, -ა „არის“ ზმნის ნაშთი: -ა ← აჩის (შდრ.: უდიდოდ-ა, უმხნეოდ-ა).

მოხსენებაში მსჯელობა, მართალია, ეყრდნობა საანალიზო ზმნური ფორმების უ- – -ო სახელური ფუძეებისაგან მომდინარეობას, თუმცა -დ- სუფიქსის ფუნქციური დანიშნულება ახლებურადაა გააზრებული: **ის სახელისაგან ზმნის მანარმოებელ ფორმანტად უნდა ჩაითვალოს**. ცნობილია, რომ პოემაში დიდი სიხშირით დასტურდება ნასახელარი **დონიანი** ზმნური ფორმები; გამოყენებულია 80-მდე სახელური ფუძე, რომელთაგან სიხშირით პირველ ადგილზე სწორედ **ზედსართავებია**. **დონით** ნაწარმოები ნასახელარი ზმნები ტევადი ინფორმაციის შემცველია და პოეტი ამ მოდელს **შინაარსის ექსპრესიულობის მისაღწევად** იყენებს. ზემოაღნიშნული ზმნური ფორმების შემცველი ტაეპების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ **დონიანი** წარმოების ფორმა **მხატვრული პარალელიზმის კომპონენტი** და **სარიტმო ერთეულია**. აღსანიშნავია, რომ **დონიანი** წარმოების ზმნური ლექსემა გადმოცემულია **უარყოფითი ფორმით**, რაც მიიღწევა: **უქონდობის სახედუხი ფუძით** ან: **უქონდობის სახედუხი ფუძით აჩ ნაწიდაკთან**

ეხთად. ამგვარად გამოხატული ზმნა სტრიქონში რიგით მეორეა, მომდევნოა და წინამავალ დადებით ფორმასთან ქმნის

1. კ ო ნ გ ხ ა ს გ ს:

ადიდებდა-უჩუმოდა / „ადიდებდა“ – *უჩუმოობდა / „არ ხმაურობდა“:

(ჩუმ- ფუძე ძველი მნიშვნელობით არის გადმოცემული და ნიშნავს „ხმაურს“).

„ზე წამოვჯე, მეფისაგან კაცი დია მოვიდოდა,
ახარებდეს: „წამოჯდაო“, დედოფალი გამორბოდა;
მეფე მორბის თავ-შიშველი, არ იცოდა, რას იქმოდა,
იგი ღმერთსა ადიდებდა, სხვა ყველაი უჩუმოდა“.
(რუსთაველი, 2002, გვ. 106, # 361).

სარიტმო ერთეულები: მოვიდოდა / გამორბოდა / რას იქმოდა / უჩუმოდა.

2. ს ი ნ ო ნ ი მ ი ზ ა ც ი ა ს:

ა) **ვიზახდი – ახ უდიდოდა** / „ვყვიროდი“ – „[ხმა]ისმოდა არ(ა) *უდიდოდ“ = „[ხმა] დიდად ისმოდა“:

„ნავითა გავე, ზღვისაგან შტო რამე გამოვიდოდა.
არ ამოვჰკრეფდი გამყოფთა, ვთქვი, ჩემთა რად დავჰრიდო,
და-?

დამეძაბუნნეს, სიმრავლე მე მათი არ გამვიდოდა,
ვნადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი არ უდიდოდ-ა“.
(რუსთაველი, 2002, გვ. 178, # 609)

სარიტმო ერთეულები: გამოვიდოდა / რად დავჰრიდო, და-? / არ გამვიდოდა / არ უდიდოდ-ა.

ბ) **გაჰმაგებოდა – ახ უმხნეოდა** / „მედგრობდა“ – „არ კარგავდა მხნეობას“:

„ვარდი ქნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა,
ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა;
გაჰმაგებოდა სიკვდილსა, ამისთვის **არ უმხნეოდ-ა**;
იტყვის, თუ: „ბნელი რას მიკვირს, რათგან დავაგდე მზეო, და-“!
(რუსთაველი, 2002, გვ. 281, # 963).

სარიტმო ერთეულები: ირხეოდა / გარდიქცეოდა / არ უმხნეოდ-ა / მზეო, და-.

რაც შეეხება მწკრივის საკითხს, **-დ-** სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები ძირითადად წყვეტილის ფორმებს ქმნიან, თუმცა საანალიზო ლექსემები უწყვეტილის მწკრივს შეიძლება მივაკუთვნოთ; ამის მიზეზია არა მხოლოდ ვერბალურად შექმნილი **-ოდ** სუფიქსის (**ო** ფუძიან სახელებს + **-დ-** სუფიქსი) აკუსტიკური შთაბეჭდილება, არამედ ორი მთავარი ნიუანსის არსებობა: 1. უზმნისწინო ფორმებია; 2. თავადაც განგრძობითი მნიშვნელობა აქვთ და ეხამებიან წარსულში განგრძობითობის გამომხატველ წინამავალ ზმნურ ლექსემებს.

ღიგეხატუხა:

რუსთაველი, შ. (2002). „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, რედაქტორი ალექსი ჭინჭარაული. თბილისი.

დანელია, ნ. (1996). დონიანი ვნებითის წარმოებისა და ფუნქციონატვის „ვეფხისტყაოსანში“. კრებული „საენათმეცნიერო ძიებანი“. ტომი V. 81-95. თბილისი.

სიმფონია (1956). ვეფხისტყაოსნის სიმფონია. შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.

კარტოზია, გ. (1975). „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ღლონტი, შ. (1961). ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა. სოხუმი: „საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობა“.

In the poem “The Knight in Panther’s Skin”, Shota Rustaveli created numerous occasional forms, revealing the expressive capacity of the Georgian language. Out of such occasional forms in the poem, special mention should be made of occasional verb-forms with nominal stems and circumfix **u---o**: *učumoda*, *udidoda*, *umxneoda*. Scholarly literature focuses on the qualification of “*učumoda*”, interpreting this word differently and offering diverse principles of segmentation; namely:

1. Bipersonal intransitive verb, where **u-** is the marker of the objective version, and **-od** the suffix denoting a continuous tense (an imperfect screeve). 2. The initial form is *učumo*; the entire verb is monopersonal, past continuous tense (imperfect screeve) form, and **-d-** is the suffix denoting the continuous tense (the imperfect screeve); *učumoda* type of formation is also represented in the poem by other forms like *udidoda*, *umxneoda*: the nominal stems *u d i d o* and *u m x n e o* are added by circumfix **u- -o** yielding the continuous tense (the imperfect screeve) forms of the verbs. *učumoda* could be Compound predicate too: where *učumod-* is the nominal element, whereas **-a** is the short form of the link verb „is“: *-a ← aris “is”* (cf: *udidod-a*, *umxneod-a*).

The authors of the given paper share the opinion that the verb-forms under analysis are derived from nominal stems with the circumfix **u- -o**. However, the function of the suffix **-d** is viewed differently: **this suffix is considered as an element which forms verbs from nominal stems. Verbs formed from nominal parts of speech with the suffix -d are quite frequent in the poem; there are about 80 nominal stems of this kind, out of which the most frequent are adjectives. The verbs formed from nominal stems by means of the suffix -d are quite informative, therefore, the poet uses them for the purpose of adding expression to the content.** Analysis of verses containing the above-mentioned verb forms has proved that derivation by means of suffix **-d is a component of artistic parallelism** as well as **a rhyming unit**. It should be noted that the verbal lexeme with suffix **-d is given in the negative form**. Negation is achieved by: *a nominal stem denoting absence or a nominal stem denoting absence*

and a negative particle “not”. A verb expressed in such way comes the second in the line, after its preceding positive form. The relation between the two is that of

1. Contrast:

adidebda – **učumoda** / “glorified” – “*učumoobda” / “without noise”:

(the stem *čum-* is given in its old meaning, denoting “noise”).

“ze čamovže, mepisagan kaci dia movidoda,
axarebdes: “čamoždao”, dedopali gamorboda;
mepe morbis tav-šišveli, ar icoda, ras ikmoda,
igi γmertsa **adidebda**, sxva qvelai **učumoda**”.
(Rustaveli, 2002, p. 106, # 361).

“I set up . . . Many men were come from the king, they carried back the good news: ‘He sits up!’ The queen ran in, the king came running bareheaded, he knew not what he did, he glorified God (while) all others were silent” (Wardrop, 1966, p. 90, # 343)¹

Rhyming units: movidoda “would come” / gamorboda “ran in” / ras ikmoda “what was he doing” / učumoda “without noise, silently”.

2. Synonymy:

a) **vizaxdi** – **ar udidoda** / “I shouted”– “[xma] ismoda ar(a) *udidod”= “[voice]was heard far and wide”.

“navita gave, zyvisagan što rame gamovidoda.
ar amovhkrepdī gamqopta, vtkvi, čemta rad davhrido, da-?
damezabunnes, simravle me mati ar gamvidoda,
vnadirobdi da **vizaxdi**, xma čemi **ar udidod-a**”.
(Rustaveli, 2002, p. 178, # 609).

“I went by ship; from the sea came forth a creek. I gathered not those divided from me; I said to myself: “Why should I take precautions against mine own folk?” They seemed timid to me; their multitude appeared not. I hunted and hallooed; I withheld not my voice” (Wardrop, 1966, p. 141, # 586).

Rhyming units: gamovidoda “would come out” / rad davhrido, da- “whay avoid it” da- [preverb from the same verb, used to reinforce

¹ For English version we use translation by Marjory Wardrop.

meaning] / ar gamvidoda “I did not worry” / ar udidoda “not small, big”.

b) **gahmagreboda** – **ar umxneoda** / “stood firm” –“did not lose courage”.

„vardi čneboda, yvreboda, alvisa što irxeoda,

broli da lali gatlili lažvardad gardikceoda;

gahmagreboda siqvdilsa, amistvis **ar umxneod-a**,

iṭqvis, tu: „bneli ras miq̄virs, ratgan davagde mzeo, da-!“

(Rustaveli, 2002, p. 281, # 963).

“The rose is faded, it drips, the branch of the aloe-tree quivers, the cut crystal and ruby are changed into lapis-lazuli. He strengthened himself against death; against him it vaunted not itself. He said: “Why should I wonder at darkness since thou, O sun, hast abandoned me!”(Wardrop, 1966, p.214, # 934).

Rhyming units: irxeoda “was quivering” / gardikceoda “was becoming” / ar umxneoda “not weak, vigorous” / mzeo,da- “O sun, da-[preverb from the previous verb davagde “I left her”, used to reinforce thought].

As for the tense (the screeve), verbs with nominal stems, added by suffix **-d** usually express the Simple Past Tense (the Aorist), but the lexemes under analysis pertain to the Past Continuous / Imperfect. Besides the acoustic impression created by the verballyformed suffix **-od** (o- stem noun + suffix **-d**), there are two major nuances: 1. These forms do not have a verbal prefix (a preverb); 2. The forms themselves have a continuous meaning; hence, they are easily combined with the preceding verbal lexemes denoting the Past Continuous Tense (Imperfect Screeve).

References:

Rustaveli, Sh. (2002). “Vepkhistaqosani”. [“The Knight in the Panther’s Skin”]. School Edition, the text was prepared for publication, the Introduction and comments were added by prof. Nodar Natadze. Edited By Aleks Chincharauli. Tbilisi.

Wardrop, M. (1966). “The Man in the Panther’s Skin”, A ROMANTIC EPIC BY Shot’ha Rust’haveli, a close Rendering from the Georgian Attempted

- by MARJORY SCOTT WARDROP with a Preface by Sir Oliver Wardrop (Reprinted from the Original English Edition London 1912). Tbilisi: Publishing House "LITERATURA DA KHELOVNEBA".
- Danelia, N. (1996). Doniani vnebitis tsarmoebisa da punktisiisatvis "vepkhistqaosanshi". [The Formation and Function of Passive Voice with the Suffix -d in "The Knight in Panther's Skin"]. "Linguistic Papers ". Volume V. 81-95. Tbilisi.
- The Symphony (1956). Vepkhis-tqaosnis simponia. [The Symphony of "The Knight in Panther's Skin"]. Compiled under the guidance of Akaki Shanidze. Tbilisi: "TSU Publishing House".
- Kartozia, G. (1975). "Vepkhistaosnis" tekstis sakitkhebi. [Issues of the Text of "The Knight in Panther's Skin"]. Tbilisi: Publishing House "Met-sniereba".
- Ghlonti, Sh. (1961). Vepkhistqaosnis mkhatvruli enis spetsipikurobis problema. [The Issue of Specific Artistic language of "The Knight in Panther's Skin"]. Soxumi: Publishing House "sakmtavarpoligrafgamom-cemloba".

სტატისტიკურობის ფორმალური
ნიშნისათვის ქართველურში

On the formal marker of statisticality in
Kartvelian

მერაბ ჩუხუა
Merab Chukhua

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: ქართველური დინგვისტიკა, სტატიკური და დინამიკური ზმნები, ზმნური ფორმათწარმოების პრობლემები
Key words: Kartvelian Linguistics, static and dynamic verbs, problems of the verbal form formation

ქართულ ლინგვისტურ სინამდვილეში ქართველური ზმნის განსხვავებული კლასიფიკაციები არის ცნობილი. არნ. ჩიქობავას კლასიფიკაციის მიხედვით, ზმნები იყოფა ორ ძირითად კლასად: *დინამიკუხ* და *სტატიკუხ* ზმნებად. დინამიკურად მიიჩნევა ზმნათა ის კლასი, რომელიც ქმედებას გადმოსცემს - ხატ-ავ-ს. ამავდროულად, სტატიკურია ზმნა, რომელიც ქმედება/მდგომარეობათა სტატიკის აღმნიშვნელია - ხატ-ია. ა. შანიძის მიხედვით, ზმნის კლასიფიკაცია გარდამავლობის კატეგორიას უკავშირდება და სტატიკური ზმნები ავტორთან გარდაუვალ ზმნებთან ჯგუფდება და ქმნიან ერთიან ქვეკლასს - *გაჩდაუვადი*. უფრო მეტიც, აქ სტატიკური ზმნები ვნებითი გვარის ქვეჯგუფად არის მიჩნეული და მათ სტატიკური ვნებითი ეწოდებათ. მაგრამ, თუ გავიზიარებთ ამ თეორიას, მაშინ საკითხი დგება, რომელ გვარს მივაკუთვნოთ ზმნები: ტირის, კივის, ცეკვავს და სხვ. მსგავს სიტუაციაში ნაწილობრივ უნდა დავეთანხმოთ არნ. ჩიქობავას, რომელიც მათ უგვარო ზმნებს უწოდებდა. ცხადია, ტირ-ი-ს - ატირებს - იტირებს ტიპის ზმნები ერთმანეთს დინამიკურობა /სტატიკურობის მიხედვით უპირისპირდება. თუმცა ჩვენ ვერ დავეთანხმებით არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ სტატიკური ზმნები ენის განვითარების იმ საფეხურს ასახავენ, როდესაც ზმნა მდგომარეობას აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა თვისების მსგავსად უცვლელი იყო დროში. არა, ბინარული ოპოზიცია სტატიკა - დინამიკა იმთავითვე განმსჭვალავდა საერთოქართველური ფუძეენის მთელ სისტემას; უბრალოდ, სტატიკურ ზმნებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ჰქონოდათ აორისტის სერიის დრო-კილოები (ქართველურ სინამდვილეში ამის ფორმალური გამოხატვა, გრამატიკული სემანტიკის დონეზე, შეუძლებელიცაა). სწორედ ამიტომ ჩნდება ლინგვისტურ ქართველოლოგიაში ტერმინოლოგია საშუადი *გვაჩის* ზმნები, რომლებიც თითქოს ივსებენ (სესხულობენ) ამათუიმ მწკრივის ფორმას სხვა ტიპის (რეალურად დინამიკური) ზმნებისაგან. ჩვენი დაკვირვებით, სწორედ სტატიკურ ზმნათა ფორმათწარმოების შეზღუდულობამ შექმნა ის მყარი ნიადაგი/-საფუძველი, რომლის გამოსობითაც ამ ტიპის ზმნებს არ განუვითარდათ გვარის მორფოლოგიური კატეგორია; ეს ვარაუდი ასევე

წარმატებით ფუნქციონირებს ყველა ქართველურ ქვესისტემაში, ანუ აკაკი შანიძის მიერ დამოუკიდებელ ჯგუფად გამოყოფილი საშუალო გვაჩის ზმნები თავისი წარმოშობით, სხვა არაფერია, თუ არა სტატიკური ზმნები, რომელთა თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ განსხვავებული მორფოლოგიური სტატუსის მქონე ზმნებს უპირისპირდება არა გვარის, არამედ დინამიკურობა-სტატიკურობის თვალსაზრისით. ტირ-ი-ს ფორმა საშუალო-მოქმედებითი გვარის ზმნა კი არ არის, არამედ მოქმედებითი გვარის სტატიკური ზმნაა და კი არ ივსებს მეორე სერიის ფორმებს ი-ტირ-ა და ა.შ. ფორმებით, არამედ საერთოდ არა აქვს აორისტი და არც შეიძლება, რომ ჰქონდეს ან ოდესმე ჰქონოდა. რეალურად ტირ-ი-ს ზმნა მოქმედებითი გვარის სტატიკური ზმნაა და დინამიკური ი-ტირ-ებ-ს / ი-ტირ-ა ფორმებთან კორელაციას ქმნის დიქოტომიით: სტატიკური (ტირ-ი-ს) / დინამიკური (ი-ტირ-ებ-ს/ი-ტირ-ა), დროული სხვაობა კი მეტად გვიანდელია, თუ ის სადმე ფუნქციონირებს, ან ფუნქციონირებდა. ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტირ-ი-ს - ა-ტირ-ებ-ს ტიპის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა გვარის, არამედ სტატიკურობა-დინამიკურობის მიხედვით. გვარის თვალსაზრისით მათი მენყვილეა/ცალია ა-ტირ-დ-ებ-ა (ა-ტირ-დ-ა) ზმნა, რომელიც ვნებითი გვარისაა ან-მყოში ინხოატივის აშკარად გამოხატული შინაარსით. ასე რომ, ფორმები ტირ-ი-ს - ა-ტირ-ებ-ს/ი-ტირ-ებ-ს მოქმედებითი გვარის ზმნებია, რომლების ვნებითი გვარის ა-ტირ-დ-ა ფორმას უპირისპირდება, ხოლო ყველა ერთად აღებული დინამიკური ცალებია სტატიკური ტირ-ი-ს ზმნის საპირისპიროდ. ასე რომ, ქართველურ ენა-კილოებში უკუქცევითობა (ბ. ჯორბენაძე), გარდამავლობა, კაუზატიურობა (თავდაპირველი) და სხვ. ცალკე მდგომი დამოუკიდებელი მორფოლოგიური კატეგორიებია, რომელთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ზმნათა კლასიფიკაციისას, ფაქტობრივი მდგომარეობის აუცილებელი მოთხოვნით (ემპირიული მასალის პოვნირებით) არის შეპირობებული.

ღიგეხატუხა:

- მელიქიშვილი, დ. (2001). ქართული ზმნის უღლების სისტემა. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.
- ნიკოლაიშვილი, მ. (2012). რა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციებს ქართულში? სპეკალი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, #5 2012. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/49>
- შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
- ჩიქობავა, არნ. (1998). ქართული ენის ზოგადი დახასიათება [II გამოცემა], თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.
- ჯორბენაძე, ბ. (1975). ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.

In Georgian linguistic reality, different classifications of Kartvelian verbs are known. According to Arn. Chikobava's classification, verbs are divided into two main classes: dynamic and static verbs. Dynamically considered is the class of verbs that convey the action - xat-av-s "he/she paints". At the same time, there is a static verb that indicates the statics of an action / situation – xat-ia "it is painted". According to A. Shanidze, the classification of verbs is related to the category of transitivity, and static verbs are grouped with intransitive verbs and form a single subclass - intransitives. Moreover, here static verbs are considered to be a subset of the passive voice and they are called static verbs of medial passive voice. But, if we share this theory, then the question arises as to which kind of voice we should attribute these verbs to: t'ir-i-s "weeps", k'iv-i-s "whires", cekv-av-s "dances", etc. In a situation like this we have to partially agree with Arn. Chikobava, who called them voiceless verbs. Clearly, t'ir-i-s "weeps" type verbs oppose each other in terms of dynamics / statics. However we can not agree with Arn. Chikobava's view that static verbs reflect the stage of language development when the verb denoted a state, and that state, like its quality, was unchanged over time. On the contrary, binary opposition: statics - dynamics was prevailing in the entire system of common Kartvelian origin from the very beginning. The case is that static verbs did not have the ability to have the time-mood of the aorist series (in Kartvelian reality, a formal expression of this, at the level of grammatical semantics, is also impossible). That is why in linguistic Kartvelology the terminology of the middle voice appears, which borrows this or that verbform from other types of (actually dynamic) verbs. Based on our observations, we can say that it was the limitation of form formation (formative production) of static verbs that created the solid ground due to which these types of verbs did not develop the morphological category of the voice. This assumption also works successfully in all Kartvelian subsystems, i. e. the verbs of the medial passive voice separated by Akaki Shanidze as an independent group by their origin are nothing more than static verbs, the peculiarity of which is that the verbs with different morphological status are opposed not by the voice but by the dynamics. The verbal form t'ir-i-s is not even a verb of the middle-active voice, but a static verb of the

active voice, and does not even fill the forms of the second series i-t'ir-a, and so on, but has no aorist at all, nor can it have or ever had it. In fact, the verb t'ir-i-s is a static verb of the active voice and correlates with the forms of dynamic i-t'ir-eb-s / i-t'ir-a by dichotomy: static (t'ir-i-s) / dynamic (i-t'ir-eb-s / i-t'ir-a), the time difference is too late if it was functioning somewhere, or if it functioned at all. So it can be boldly said that the forms of t'ir-i-s - a-t'ir-eb-s type oppose each other not by voice but by the morphological category static-dynamics. In terms of voice, their partner / correlative is the verb a-t'ir-d-eb-a (a-tir-d-a), which is a form of the passive voice with a clearly expressed content of the inchoative in the present time. Thus, the forms are verbs of the active voice t'ir-i-s - a-t'ir-eb-s / i-t'ir-eb-s, which correlate with the form of the passive voice a-t'ir-d-a, while all the dynamic allomorphs taken together are dynamic forms of the t'ir- verb in contrast to the static verb t'ir-i-s. So, in Kartvelian reversibility (B. Jorbenadze), transitivity, causativity (from original) and so on are separate independent morphological categories, the separation of which, in the classification of verbs, is conditioned by the necessary requirement of the factual situation (existence of the empirical material).

References:

- Melikishvili, D. (2001). *Kartuli zmnis ughlebis Sistema*. [System of conjugation of Georgian verbs]. Tbilisi: Publishing House "Logos Press".
- Nikolaishvili, M. (2012). What defines verb constructions in Georgian?. *Electronic Bilingual Scholarly Peer-reviewed Journal "Spekali" #5* at Faculty of Humanities at TSU. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/49>
- Shanidze, A. (1980). *Kartuli enis gramatikis sapudzclebi*. [Basics of Georgian Grammar]. Tbilisi: "TSU Publishing House".
- Chikobava, Arn. (1998). *Kartuli enis zogadi dakhasiateba (II gamotsema)*. [General description of the Georgian language (II edition)]. Tbilisi: Publishing House "Georgian Language".
- Jorbenadze, B. (1975). *Zmnis gvaris pormata tsarmoebisa da punktisiis sa-kitkhebi kartulshi*. [Issues of production and function of verb forms in Georgian]. Tbilisi: "TSU Publishing House".

